

— 02606 ვარსკნელიძე —

ЯСИН ВАРСКНЕЛИДЗЕ

„ჩვენი ფესვები
მესხეთის მიწაშია...“

*“НАШИ КОРНИ
В ЗЕМЛЕ МЕСХЕТИ...”*

თბილისი
Тბილისი
2000

გამოცემა განხორციელდა ფონდის
„ღია საზოგადოება - საქართველო“
ფინანსური დახმარებით.

Издание осуществилось с финансовой помощью фонда
“ОТКРЫТОЕ ОБЩЕСТВО – ГРУЗИЯ”

ბედი-მღეპარი

*ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს
გკუეღრიდენ და გღვენიდენ...
მათე, 5.11*

*...მაგრა ღმერთი არ ვასწირავს
კაცსა, შენგან ვანაწირსა.
შოთა რუსთაველი*

(1929-1999)

იასონ ვარსკენელიძე 15 წლის ბიჭი იყო, სამშობლო
რომ წაართვეს; უფრო ადრე კი მას და მის ხალხს
მშობლიური ენა დააკარგვინეს. ასეთია ბედი ხალხისა,
რომელიც საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური
თამაშების და მსხვერპლი იყო. თუმცა, რაც შეეხება ია-
სონს, მან ბევრი რამ ქრისტიან თანატოლებთან ურთ-
იერთობიდან ბოლომდე შემოინახა. "უბედური-ბედიანი",
"ჩემო ჯოხო შინდისაო..." - იხსენებდა ბავშვობისდროინ-
დელ თამაშებს მინდორში სოფლის ბიჭებთან და 70 წელს
მიტანებულ კაცს თვალები ცელქურად აუციმციმდებოდა.
ბოლომდე მეგობრობდა თანასოფელელ ტოლ-ამხანაგებთ-
ან. გატაცებით ყვებოდა მშობლიური სოფლის - ტობას
შესახებ. იცოდა მისი ყველა ადგილ-მტკაველი - რამდენ-
ი ეკლესია იყო სოფელში, რამდენი წყარო, რამდენი
წისქვილი, რა გვარებით იყო დასახლებული სოფელი...

იგი 1991 წელს გავიცანით, როცა თბილისში დაარსდა დეპორტირებული მესხების საზოგადოება "ხსნა"; იასონი იყო ამ საზოგადოების საბჭოს წევრი და მისი ერთ-ერთი აქტიური ლიდერი. როდესაც საქართველოს მთავრობამ დეპორტირებულ მესხებს საცხოვრებელი ადგილი გამოუყო და მას საშუალება მიეცა პქონოდა პატარა კუთხე თბილისში, იგი უმეტეს დროს საქართველოში ატარებდა, თუმცა ფერგანის დარბევის შემდეგ ოჯახი აზერბეიჯანში, ქ. ყაზახში ქონდა. ბოლო ხანებში ხომ სულ ვეღარ ძლებდა უსაქართველოდ, მეუღლეც ჩამოიყვანა და შექმნეს მეუღრო პატარა კერა, სადაც ყველას უხაროდა მისვლა, რადგანაც იქ სტუმართმოყვარე და გულთბილი მასპინძლები ხვდებოდნენ.

იასონი საქართველოზე საოცრად შეყვარებული კაცი იყო. ბავშვივით უხაროდა, რომ თავისი გარეგნობის წყალობით არავინ არჩევდა ქართველისაგან. ბუნებით ცოცხალი და კომუნიკაბელური, ეშურებოდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეცნო, პქონოდა მათთან ურთიერთობა, გაეზიარებინა მათთვის საქართველოსკენ სწრაფვის მიზეზები. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა შეხვედრაში, ბეჭდავდა წერილებს პრესაში. ყოველივე ამის გამო ქალაქმა გაიცნო იგი, ქუჩაში აჩერებდნენ, გამოელაპარაკებოდნენ. ეს გაშინაურება დიდი სიხარულით ავსებდა.

მაგრამ თბილისის გარდა და თბილისზე უფრო მეტად მისი სიყვარულისა და სწრაფვის საგანი ახალციხე იყო. მშობლიური ახალციხე... იქ მისი ტობელი მეგობრები ცხოვრობდნენ. "ტობელი კაცი" - ასე შეარქვა თავის თავს. ყოველ შეხვედრაზე შემახსენებდა თხოვნა-ანდერძს - ისიც მეყოფა ჩემი მშობლები სხვაგან არიან დამარხულნი, მე ჩემი მშობლიური სოფლის ან ახალციხის მიწას მიმაბარეთო. ჩვენდა სამარცხვინოდ ვერ შევუსრულეთ სათხოვარი. დმერთმა შეუნდოს ეს დიდი ცოდვა იმ ადამიანებს, ვის ხელშიც იყო ამის აღსრულება და არ კი გააკეთეს.

გარეგნობითა და ხასიათით იასონი ძველებურ კახელ თავადს მოგაგონებდათ. უყვარდა მოლხენა სუფრაზე, იყო ენაწყლიანი და არტისტულად მოსაუბრე; ემოციურად რეა-

გირებდა ავზეც და კარგზეც; სწორედ ამ თვისებამ შეიწირა მისი სიცოცხლე. გარდაცვალების წინა დღეს ხელში გაზეთით ენახე. სახე გაფითრებოდა. გაზეთში შარაძის მორიგი პასუხილი იყო დაბეჭდილი "თურქი-მესხების" შესახებ. რაღაც ავის მომასწავებლად მომჩვენა მისი უჩვეულო დუმილი. მივეფერე, დავამშვიდე, არ გეგონოს ყველა ასე ფიქრობს საქართველოში, მაგას აღარავინ უგლებს ყურს-მეთქი; თითქოს დამიჯერა, სახლში წავიდა.

მეორე დილით შემატყობინეს მისი უეცარი გარდაცვალების შესახებ. ცრემლები თავისთავად მცვიოდა, დიდი იყო გულისტკივილი; მაგრამ უფრო მეტი გულისტკივილი და სიმწრის ცრემლები წინ მელოდა, როცა ახალციხის და რეგიონის ხელმძღვანელობამ უარი გვითხრა ორ მეტრ მიწაზე იასონ ვარსკენლიძის ნეშტის მისაბარებლად. აღსრულდა ბედისწერა:

"ნუ დაეიმარხო ჩემსა მამულში,

ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის..."

იასონი განათლებული, წიგნიერი კაცი იყო. იგი ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით, მესხეთის ისტორიის შესახებ. თვითონაც წერდა. მის პირად არქივს როცა ვათვალიერებ, მეუფლება ცოცხლადდარჩენილების სინანულისა და უკმარისობის გრძნობა ჩვენგან წასული ადამიანების მიმართ - რატომ უფრო მეტად არ ვაფასებდით, უფრო მეტად არ ვზრუნავდით მათზე...

ამ განწყობილების მცირე კომპენსაციაა წინამდებარე კრებული. მასში ვაქვეყნებთ იასონ ვასკენლიძის ორ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერს, რომელიც თავის არქივიდან მოგვაწოდა ქალბატონმა კლარა ბარათაშვილმა - ლატიფმა ბარათაშვილის შთამომავლების კავშირის "Patria" თავმჯდომარემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

აქვე ვთავაზობთ მკითხველს იასონის სტატიის შემოკლებულ ვარიანტს. იგი პრესაშიც იყო გამოქვეყნებული და ყველაზე კარგად გამოხატავს ავტორის სულისკვეთებას, მის განწყობილებებს.

ალექსანდრა თევზაძე

დავიბადე საქართველოში, ახალციხის რაიონის სოფელ ტობაში. ჩემი სოფელი პატარაა. ქალაქიდან დაშორებულია 7კმ-ით. ის მდებარეობს მტკვრის ნაპირას ასპინძის გზაზე. მიწა იქ მშრალია, კარგად ხარობს სიმინდი და ხორბალი, ხოლო წყაროებიდან მოჩქევს შესანიშნავი სასმელი წყალი. ტობაში ცხოვრობდა 44 ოჯახი. ნახევარი ქრისტიანი იყო, ნახევარი - მაჰმადიანი. ქრისტიანები იყვნენ სულაძეები და ასპანიძეები, ხოლო მაჰმადიანები - თამარაძეები, ვარსკენელიძეები, დაუქარიძეები, გაგნიძეები, ქურდაძეები. მამა ხშირად მეტყობდა: შვილო, ჩვენ ქართველები ვართო. მამა პარტიის რაიკომში მუშაობდა ინსტრუქტორად. 1935-37 წლებში, როცა კოლექტივიზაციის პროცესი დაიწყო, იგი ბევრს დადიოდა რაიონის ფარგლებში. 1941 წელს, როცა 12 წლისა ვიყავი, ჩვენთან პირველად შეიკრიბა პიონერთა ბანაკი. მეც პიონერი ვიყავი, რითაც ძალიან ვამაყობდი. პიონერის ყელსახვევს იმ დროს არ ვნასკეავდით, სპეციალური რკინის სამაგრიტ ვიმაგრებდით. როცა ბებიასთან ერთად ყველისა და მაწვნის გასაყიდად ბაზარში დავდიოდი, გზად შეხვედრილ ოფიცრებს ყოველთვის „ჩეხტს“ ვუღებდი. საფარის პიონერთა ბანაკში მხოლოდ სამი დღე მომიწია ყოფნა. მეოთხე დღეს ომი დაიწყო... ჩვენ ბანაკიდან დაგვითხოვეს. კარგად მახსოვს ომის დაწყება. საშინელი დრო იყო, თითქოს მიწა გუგუნებდა, კვნესის ხმა ისმოდა. სტალინის რადიოთი გამოსვლის შემდეგ ხალხი მიაწყდა სამხედრო კომისარიატს. ჩვენი მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ. სახლში დარჩნენ ქალები, ბავშვები და ჩემისთანა მოზარდები. ყველა სამეურნეო სამუშაო ქალებსა და მოზარდებს დააწვათ მხრებზე. ეხნავდით გუთნით, ხოლო მოსავალს ვიდებდით ნამგლით, შემდეგ კალოზე მიგვექონდა და ჯაჭვებით ვცეხავდით. მამაც წაიყვანეს ჯარში, მა-

გრამ ხაშურს არ გასცილებია. იქ გაანაწილეს ბრიგადირად დამხმარე მეურნეობაში.

1944 წელს ჩვენი გადასახლების შემდეგ მამაც გაათავისუფლეს სამუშაოდან და ჩვენ გზას გამოუყენეს. მან გვიპოვა 1945 წლის იანვარში სამარყანდის რაიონის სოფელ ყარაყიშლაყში. გადასახლების აღწერა ენით შეუძლებელია, ისეთი საშინელება გადავიტანეთ. ზამთარი. წითელ სატვირთო ვაგონებში, სადაც კედლები თითის სიმსხო ყინულებითაა დაფარული, შეკუჭულნი არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები. კაცები არ გვყავს, ყველა ომშია. ვაგონებში ისეთი სივიწროვეა, რომ ფეხს ვერ გაშლი. ვზივართ ერთმანეთთან მჭიდროდ მიხუტებულები. მატარებელი რომ გაჩერდებოდა, ყველა ჩამორბოდა ქვევით საჭიროების მოსათავებლად. არსად მოფარებული, აქეთ ქალები, იქით ქალები... იძულებულები ვიყავით სირცხვილისგან თავდახრილებს ყველას თვალწინ გაგვეკეთებინა ჩვენი საქმე. ასეთი დამცირება და სირცხვილი არ მიგრძენია მთელი ცხოვრების მანძილზე.

ჩვენ ვაგონში იყო ფეხო ბაბუა, რომლის ოთხი შვილი ფრონტზე იბრძოდა. იჯდა მარტო, უპატრონოდ. მე სადილის დატარებაში ვეხმარებოდი უფროსებს. როცა შეჭამანდიანი ჯამი ფეხო ბაბუას მივეუტანე, არ განძრეულა. როგორც იჯდა, ისე მოღუნული გაიყინა და გარდაიცვალა შიმშილისა და სიციფსაგან. მე ძალიან შემეშინდა. უფროსებმა მისი გვამი კარებთა დადეს. როცა მატარებელი ჩერდებოდა, ჯარისკაცები მოდიოდნენ კარებთან და დაიძახებდნენ: „ყველა ცოცხალი ხართ? მკვდრები არ არიან?“ თუ მიცვალებული იყო, ხმაურით აღებდნენ კარებს. ჩვენ უკვე ყაზახეთში ვიყავით. ჯარისკაცმა დაითრია ვაგონიდან ფეხო ბაბუას ცხედარი და ძირს ჩაავდო ლიანდაგებს შორის. მერე ორმა ყაზახმა თითო ფეხს ჩაავლო ხელი და შპალე-ბზე წაათრიეს. მე ვხედავდი, როგორ ირწვოდა მიცვალებულის თავი და ხელები სხვადასხვა მხარეს.

აღბათ ორმოში ჩააგდეს. როგორ უნდა შევგუებოდით ამას! ასე მოკვდა ბაბუა ვეისალიც, რომელმაც ერთადერთი შვილი გააგზავნა ფრონტზე. მისი ცხედარი ვაგონიდან გადმოაგდეს გზაში. ასევე ბაბუა პეილარიც. მან სამი შვილი გაუშვა ჯარში. ისიც უპატრონოდ მოკვდა გზის დასასრულს. ის მაინც დაეხსოვლა ადამიანურად. ისე გარდაიცვალნენ ეს მოხუცები, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრეს ჩვენს გასამხნეებლად. შოკურ მდგომარეობაში იყვნენ. ისხდნენ გაქვავებულნი ჩუმად და ასე კედებოდნენ. ჩვენ, ბავშვებს პრველად ძალიან გვეშინოდა ამის ყურების, მაგრამ თანდათან ისე მივეჩვიეთ, რომ გადავახტებოდით კიდეცა გვამს აქეთ-იქით. სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ვაგონში. როგორც იქნა ჩამოვედით. განვლავდით. საშინელი შიმშილობა იყო, ბალახს ვჭამდით, რაც ხშირ დაავადებებს იწვევდა. ბევრი იხოცებოდა. იყო ასეთი შემთხვევა: დედა ავად გახდა. ყაზახი მეზობლები შევიდნენ მასთან სანახავად. დახვდათ შემზარავი სურათი – წევს დედა, ზედ სამი შვილი აწევს. შუყველა მკვდარი.

ნელნელა მაინც ვეჩვეოდით გადასახლებას, გონს მოვიდოდით. 1949 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა, მაგრამ ჩვენ უმაღლესში არ გვიღებდნენ, რადგან არ გვქონდა არც პასპორტი და არც სამხედრო ბილეთი. ის კი არა და, მეზობელ სოფელში წასვლის უფლება არ გვქონდა კომუნდანტის საშვის გარეშე. ჩვენ რუსი კომუნდანტი გვყავდა, გვარად ტაპირიკი. ის გვეუბნებოდა, რათ გინდათ თქვენ სწავლა, სამუდამოდ გადასახლებაში უნდა იყოთო. მხოლოდ 1952 წელს მოვახერხე სამარყანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მოწიება. 1958 წელს დავუოჯახდი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განაწილეს სოფლის სკოლაში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დირექტორად. ხუთჯერ ვიყავი არჩეული სოფლის და რაიონის დეპუტატად.

სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლა დავიწვე 1956 წლიდან, როცა გავიცანი ხალილ გოზალიშვილი – ჩვენ

ერთდროულად ვსწავლობდით სამარყანდის უნივერსიტეტში.

1989 წელს შეიქმნა საზოგადოება „ვატანი“. ჩვენ ავირჩიეს მის საბჭოში. მაგრამ საზოგადოების პროგრამა და მოქმედების გზები ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა და დავტოვე „ვატანი“. მე, ისა თავაძემ და კიდევ რამდენიმე ადამიანი ვთქვით, რომ ეს გზა არის ჩვენთვის დამღუპველი, ჩვენ ვართ ქართველები და უნდა აღვიდგინოთ ძველებურად ყველაფერი. დაუკავშირდით ხალილ გოზალიშვილს, ყაბარდოში ჩავატარეთ კრება და შევქმენით საზოგადოება „ხსნა“. პირველად რეგისტრაცია გაუკეთდა ყაბარდოში, ხოლო 1992 წელს ქ. თბილისში.

ვერგანის ტრაგედიის შემდეგ სულ გზაში ვარ. მყავს ორი ქალიშვილი, ერთი ვაჟი და ცხრა შვილიშვილი. ბედმა სად არ გვატარა. ყირგიზეთი, უზბეკეთი, აზერბეიჯანი... ახლა ჩემი ვაჟი აზერბეიჯანში, ქ. ყაზახში ცხოვრობს, მე და ჩემი მეუღლე კი – საქართველოში. ღრმად მწამს, რომ ვარ ქართველი. თუ ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწისაგან, მაშინ ჩვენ ვართ შექმნილი მესხეთის მიწისაგან. სხვაგან ფუფუნებაში ცხოვრებას მე ჩემი სოფლის – ტობას ნანგრევებს ვარჩევ.

სხვათაშორის, მე იქ ხშირად ჩავდივარ. ჩემი სოფელი მდებარეობს ხეობაში. მთები დაფარულია მაგმური ლავით. მე ვიპოვე ის ადგილი, სადაც იყო ჩვენი სახლი. ყური დავადე მიწას. მაგმური სიღრმიდან მომესმა: „ეი! იასინ! სად ხარ ამდენ ხანს! იცოდე, იასინ, მე კი არა ვარ შენი, შენ ხარ ჩემი!“ ვვიცავარ, მე ეს გავიგონე.

მთავარია, რომ დღეს მე სამშობლოში ვარ. განა ჩვენ შეგვეძლო ამის წარმოდგენა, როცა კომუნდანტის განკარგულების ქვეშ ვიყავით „მუღმივ გადასახლებაში“.

*იასონ ვარსკენელიძე
1998 წელი, ნოემბერი.*

„ჩვენი ვესება მესხეთის მიწაში...“

იასინ ვარსკენელიძის უკანასკნელი ინტერვიუ

წარმოშობით ახალციხიდან ვარ, სოფელ ტობადნ. დავიბადე ამ სოფელში 1929 წელს. ჩემი ბავშვობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. კაცები ფრონტზე იბრძოდნენ, სახლში მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. 1944 წლის ნოემბრის ერთ ღამეს სახლებიდან გამოგყვარეს, დაგვსვეს ურმებზე და გაგვიყვანეს გზაზე. იქ დიდი სატვირთო მანქანები გველოდებოდა, რომლებითაც რკინიგზაზე მიგვიყვანეს. საბოლოოდ საბარგო ვაგონების ეშელონები დაიძრა შუა აზიისაკენ. მე კარგად მახსოვს ეს ვაგონები. მათში 78 თუ 87 სული ეტეოდა. იქ იმდენი უბედურების შემხედვარე ვიყავი, რომ მიჭირს მისი გახსენება. მაგალითად, კაცმა ომში ოთხი შვილი გააგზავნა. ფრონტის წინა ხაზზე იბრძვიან, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ ძახილით სისხლს ღვრიან, მათი მამა კი მშობლიური მიწიდან აყრილი, გზაში კვდება შიმშილისაგან და სიცივისაგან. ჩემი თვალთ ვნახე, როგორ გადაადგეს მისი გვამი ვაგონიდან ჯარისკაცებმა. მისი ოთხი შვილიდან ორი დაბრუნდა უკან. ერთი უფეხოდ, მეორე უხელოდ. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ორი მეტრო მიწა ვერ გაიმეტა მათი მამის დასასაფლავებლად. მას ფეხო-დედე ერქვა. გვარად გაგნიძე იყო. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო გზაში.

ჩვენი სოფელი პატარა იყო. ჩვენ არც „თურქებს“ გვეძახდნენ, არც „მუსულმანებს“. „თათრებს“ გვიწოდებდნენ. თურქული ენა გაბატონებული იყო ჩვენს რეგიონში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაქსიმე სუდაძე, თვითონ ქართველი ქრისტიანი, კრებებს თურქულ ენაზე ატარებდა. მინდორში სამუშაოდ ერთად გავდიოდით, ერთად ვსადილობდით და არახოდეს გამოგია ასეთი ლაპარაკი – შენ ქრისტიანი ხარ, შენ – მუსულმანი. ალაპს ვფიცავარ, ასეთი რამ არ ყოფილა! ერთმანეთს არ ვასხეავებდით.

ჩვენი სოფელი ხეობაშია განლაგებული. ერთ მხარეს ქრისტიანები ცხოვრობდნენ, მეორე მხარეს – მუსულმანები.

ჩვენი სახლის უკან ორი ეკლესია იყო – ერთი ძველი, რომელსაც „ვერანა კილისეს“ ვეძახდით, მეორე ახალი, მოქმედი. ქრისტიანულ დღესასწაულებზე ყველა ჩვენი ჭიშკრის წინ ჩაივლიდა, სახლს უკან კი ზარები რეკავდნენ.

როგორ მოხდა, რომ ტობაში, სადაც უმრავლესობას მაჰმადიანები წარმოადგენდნენ, სამი ქრისტიანული ეკლესია იყო? ვიცი, რომ ჩემი წინაპრები ქართველი აზნაურები იყვნენ. სწორედ ისინი აშენებდნენ ამ ეკლესიებს. მდიდრები იყვნენ და აშენებდნენ. ან საიდან გაჩნდა ამდენი ქრისტიანული სსფლავი? იქ ხომ ჩვენი წინაპრები განისვენებენ. ესე იგი, ისინი ქრისტიანები იყვნენ. ჩვენ სოფელში ქრისტიანი ქართველების მხოლოდ ორი გვარი ცხოვრობდა – სუდაძეები და ასპანიძეები. ამბობენ, ერთი სოფ. ღრელიდან და მეორე სოფ. ვალედან არის მოსული. ჩემი პაპის პაპას ხასანს ეძახდნენ. გასაბჭოების შემდეგ მისი სახელის მიხედვით ხასანოვებად ჩაგვწერეს. მაგრამ მამა ყოველთვის გვეუბნებოდა, ჩვენი ნამდვილი გვარი ვარსკენელიძეაო, მისი უძველესი ფორმაც კი ახსოვდა – ვოროსკენელიძე. ჩვენ სოფელში ყველა მაჰმადიანმა იცოდა თავისი ქართული გვარი. ესენი იყო: ვარსკენელიძე, დავქარიძე, გაგნიძე, თამარაძე.

როგორც მამა ამბობდა ნიკოლოზის დროს გვაიძულებდნენ თურქეთში გადავსახლებულიყავით – თურქები ხართ და თურქეთში წადითო. ბევრი მათგანი მართლაც გადავიდა მესხეთის საზღვრის იქითა მიწაზე. ბევრი ადგილზე დარჩა. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინიც გაასახლა შუა აზიაში.

გასაბჭოების შემდეგ ხელახლა დაადგინეს საზღვრები – ლენინისა და ათათურქის მოლაპარაკების შედეგად. ჩვენ დავრჩით აქეთ, მესხეთის დიდი ნაწილი – იქით. გაგვიხსნეს თურქული სკოლები არაბული დამწერლობით. შემდეგ გადაწყვიტეს – არა, ჩვენთან თურქებს რა უნდათ, საბჭოთა კავშირში აზერბეიჯანლები არიანო და გახსნეს აზერბეიჯანული სკოლები, განათლების განყოფილებები – აზერბეიჯანული კადრებით დაკომპლექტებული. რაიკომის

მდივნებიც აზერბეიჯანლები, თითქოს საკუთარი კადრები არ გვეყავდა. ასე გვაქციეს აზერბეიჯანლებად. ასე იყო მესხეთის ყველა სოფელში.

კარგად მახსოვს 1938 წლის არჩევნები სოფ. მინაძეში. სოფელში სამიოდე მოხუცი ქალი დარჩა ბავშვების მისახელად. ყველა წავიდა არჩევნებზე, მეც მათ გავუკიდე. იქ კონცერტს ატარებდა აზერბეიჯანიდან სპეციალურად მოწვეული ანსამბლი „დელი ჯეირან“-ი. ყველაფერი – კონცერტები, წიგნები, გაზეთები აზერბეიჯანული!

მე თუ თურქი ვარ, საიდან აღემოჩნდი საქართველოში? არა მარტო მე, მთელი 210 სოფლის მაცხოვრებლები, რომლებიც 1944 წელს გაასახლეს. ჩვენ რომ ადგილობრივი ქართველები ვართ, შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: ავიღოთ სოფელი ტობა. თვითონ სოფლის სახელწოდება ქართული სიტყვა ტბიდან მომდინარეობს. სოფელში ბევრი წყარო იყო. ერთ ადგილს ერქვა ჭანჭახა – ესეც ქართული სიტყვაა, ყინულივით ცივს აღნიშნავს. მართლაც იქ ყინულივით ცივი წყარო მოჩუჩხუხებდა. სოფელმა ქვით შემოფარგლა ეს ადგილი, პატარა წყალსაცავი გააკეთა. იქ ღამის განმავლობაში გროვებოდა წყალი, რომლითაც დღისით ბადებს ვრწყავდით. იქიდან წამოვიდა სოფლის სახელწოდება. ეს ერთი. შემდეგ... სოფელში შემოსასვლელ გზას ყაფანი ერქვა. ეს ქვით მოკირწყლულ გზას ნიშნავდა. იყო სხვა სახელწოდებებიც: კურდღელა, ზეუბანი, აქაურა. ეს უკანასკნელი წყაროს ერქვა, სადაც სარეცხს რეცხავდნენ და საქონელს არწყულებდნენ. შემდეგ, იყო ასეთი სახელებიც: ნაფუძარი, კლდეკარა, ჩიტღელე, სამარიღე. ყველა ეს ქართული სახელწოდებაა, არცერთი თურქული. თუ ჩვენ, იმ ადგილების მკვიდრი მოსახლეობა, თურქები ვიყავით, რატომ თურქული სახელწოდებები არ დავარქვით მათ? ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ვართ ქართველები და თურქების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ იძულებით მივიღეთ ისლამი. ისტორიკოსებმა ყველაფერი ეს სამართლიანად უნდა აღწერონ და არა ისე, უბრალოდ – აიღონ და თვალდახუჭულნი გადააბიჯონ ამ ეპოქას.

ასე გვეუბნებიან, ქართველად მოგაქციეს? არა, ძვირფასო, კი არ მოგვაქციეს, ვართ ქართველები.

ჩემს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს. ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია. რაც შეეხება მაჰმადიანობას, ეს ყოველი ადამიანის პირადი საქმეა. მაჰმადიანია თუ ქრისტიანი, ბუდისტია თუ საერთოდ ათეისტი – ეს ყველაფერი ადამიანის პირადი საქმეა. სულერთია, ღმერთი ერთადერთია.

ტობადან გაასახლეს 28 ოჯახი – 134 სული. მათგან დარჩა მხოლოდ ოცდაათი პროცენტი. დანარჩენები დაიხოცნენ. ყველა გაფანტულია ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში... ყველამ იცის თავისი ძველი გვარი. ჩვენი მოხუცები ასე ამბობენ: „ჩვენ ქართველები ვართ“.

მე სამოცდათორმეტი წლისა ვარ და ამ ასაკში აღვიდგინე ჩემი ისტორიული გვარი ვარსკენელიძე.

*იახონ ვარსკენელიძე
1999 წლის ოქტომბერი*



მეუღლესთან ერთად. 1999 წელი, გლდანი.
С женой. 1999 год, Глдани.

ჩვენი, დეპორტირებული მკვლელები -
ქართველები ვართ

1944 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სამხრეთის სასახლევრო ზონიდან - ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის (ამჟამად - ნინოწმინდის) რაიონებიდან შუა აზიის რესპუბლიკებში (უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში) საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეთხზული ყალბი ბრალდებით, როგორც არასაიმედო მუსლიმი და თურქებად შერაცხული მოსახლეობა, სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944 საიდუმლო №5279 დადგენილებით, გაასახლეს 90 ათასი ადამიანი. მათგან დიდ უმრავლესობას (84 ათასს) შეადგენდნენ სამცხე-ჯავახეთის ძირძველი ეთნიკური ქართველები - მესხები.

მაშინ 15 წლის ყმაწვილი პატარა ქართული (მესხური) სოფელ ტობადან გავხდი უშუალო მოწმე იმ დიდი უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა სრულიად საქართველოს და არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთს, რადგან დეპორტაცია იყო მიმართული მთელი ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. მე ვარ თვითმხილველი იმ ჯოჯოხეთისა, რომელშიც საბჭოთა რეჟიმმა ჩააგდო უდანაშაულო და უმწყო ხალხი: მრავალდღიანი მგზავრობის დროს სატვირთო ვაგონებში იხოცებოდნენ ელემენტარული საყოფაცხოვრებო-სანიტარულ პირობებს მოკლებული ადამიანები, რომელთა გვამებს ან გაჩერებებზე ღია ცის ქვეშ ტოვებდნენ, ან სარკმლიდან თოვლით დაფარულ ტრამალებში ჰყრიდნენ.

ზემოხსენებული ტრადიკული მოვლენების შემდეგ გავიდა 55 წელი, გარკვეული ძალები კვლავაც დაჟინებით ათამაშებენ „თურქულ კარტს“ მესხთა შორის, მიმართულს ქართული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ბნელი საქმე ისევ ქართველების ხელით კეთდება პატრიოტული ღოზუნგებითა და ცუდად შენიღბული ყალბი ეროვნული პათოსით

გაჯერებული. იმავდროულად რუსეთში მოკალათებული პროთურქული ჯგუფის მოთავეები ორგანიზაცია „ვათანიდან“ აქტიურად მოქმედებენ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქცეულ მესხთა შორის: გონებას უმღვრევენ ეროვნულ ორგანიზმს მოწყვეტილ ადამიანებს, აორგულებენ და ამხედრებენ ქართველი ერის წინააღმდეგ. მაგრამ უკვე დაიწყო ახალი ეტაპი მესხთა მოძრაობაში, რაც განაპირობა საერთაშორისო თანამეგობრობის ახალმა პოზიციამ საქართველოსთან მიმართებაში, ჩვენი ქვეყნის გაწვევრიანებამ ევროსაბჭოში. დეპორტირებულთა უმრავლესობას შორის მკვიდრდება საღი აზრი იმის შესახებ, რომ მესხთა სამშობლოში დაბრუნების პრობლემა უნდა გადაიტარას თბილისში. მიუხედავად ანტიქართული პროპაგანდისა, ძლიერდება ქართული ორიენტაციის მესხთა ფრთა და მათ შორის დაიწყო ქართული ეროვნებისა და ისტორიული გვარების აღდგენა, ქართული ცნობიერების აღორძინება, ბევრმა მესხმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა განათლებული ახალგაზრდობა, რომელიც გასახლების შემდეგ არის დაბადებული და ათწლეულების მანძილზე იყო მოწყვეტილი სამშობლოს, მოქცეული ინფორმაციულ ვაკუუმში, მათ აღელვებთ ეთნიკური კუთვნილების საკითხი, მწვავედ განიცდიან იმ ფაქტს, რომ მესხთა შორის არ არის ერთიანობა - ნაწილი თავს „თურქებად“ თვლის, ზოგი „აზერბაიჯანელად“ და „ქართველებად“. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა მიზნით შეჰყავდათ შეცდომაში ქართველი ერის მსახველი ეთნიკური ჯგუფი, საიდან დაიწყო მათი ცნობიერების გამრუდება, ვინ არის დამნაშავე?

ჩვენი აზრით, მესხთა ტრაგედია დაიწყო საქართველოს სამხრეთის ფაინის - ბიზანტიის დაცემით, თურქთა შემოტევებით, ქვეყნის დაქუცმაცვებით (1462 წლიდან). ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ ანექსირებულ სამცხე-სათაბაგოში მოსახლეობის აღწერა ჩაატარა, რომლის შედეგები აისახა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“. ამ დოკუმენტში დაფიქსირებულია რეგიონის

ფაქტობრივად მხოლოდ ქართული ეთნოსი და არ არის არავითარი მინიშნება „თურქებზე“, ხოლო მოსახლეობა იყო მართლმადიდებლობის მიმდევარი.

ცნობილია, რომ სამცხე-საათაბაგოს ბოლო ქრისტიანმა მმართველმა - ათაბაგმა მანუჩარ ჯაყელმა (1614-24 წწ), აღიარა თურქეთის უზენაესი ხელისუფლება. მანუჩარი მოწამლა ბიძამ - ბექამ, რომელიც შორილად ეახლა სტამბოლში სულთანს, მიიღო ისლამი, რის შემდეგაც მესხეთი გამოცხადდა საფაშოდ, ხოლო ბექა 1626 წელს დაამტკიცეს ახალციხის ფაშად და იგი დაბრუნდა სამშობლოში საფარ-ფაშას სახელით. ამრიგად, ზემოხსენებული უტყუარი (და არცთუ დიდი ხნის წინანდელი) ისტორიული ინფორმაცია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედშიც დეპორტირებული მესხების წინაპრები ქართველი ქრისტიანები იყვნენ, ხოლო კუთხის ისლამიზაციის ხანგრძლივი პროცესი XVII-XIX სს. მანძილზე მიმდინარეობდა. ცნობილია ისიც, რომ მაჰმადიანობას პირველ რიგში იღებდა თავადაზნაურობა, ხოლო გლეხობა - ეროვნული ტრადიციების დამცველი - დიდ ხანს ეწინააღმდეგებოდა რწმენის შეცვლას. საფარ-ფაშას თაოსნობით მესხეთში მკვიდრდებოდა თურქული წეს-ჩვეულებები, რაც ხორციელდებოდა ადმინისტრაციული ზომებით, მიზანდასახულად. ანტიქართული და ანტიქრისტიანული პოლიტიკა ყველაფერს აკეთებდა ქართული კულტურის ამოსაძირკვად. მიუხედავად ამისა, გენერალ პასკევიჩის მიერ 1827-28 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაპყრობილი ახალციხის საფაშოს მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიმდევარი იყო.

არ არის შემთხვევითი, რომ მას მერე რაც ანექსირებული ტერიტორია შევიდა თბილისის გუბერნიაში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სტატუსით, მესხეთის ბევრებმა მიმართეს თხოვნით მეფის ნაცვალს მამა-პაპათა სარწმუნოების (ქრისტიანობის) დაბრუნების (ქვეშევრდომებთან ერთად) სანაცვლოდ მათთვის მიეცათ ქართველ

თავადაზნაურობასთან უფლებრივი თანასწორობა. მაგრამ მეფის რუსეთმა არა მარტო უარით გაისტუმრა ისინი, არამედ 1829 წელს განახორციელა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველთა ეთნიკური წმინდა, ქართული მოსახლეობის დეპორტაცია თურქეთში: ათი ათასობით მუსულმანი მესხი იძულებით აყარეს წინაპართა ნაფუძარიდან, დაატოვებინეს სახლ-კარი, მამა-პაპათა საფლავეები.

სამწუხაროდ, იმ დროს ქართულმა საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა ჯეროვანი ყურადღება მესხეთისა და მესხების მიმართ, ისე, მაგალითად, როგორც ეს მოხდა 1877-78 წწ. ილია ჭავჭავაძის დასის აქტიური მონაწილეობით აჭარაში. ამიტომ ბედის ანაბარად მიტოვებული, ფესვებმორყეული და სხვისტომის სათარეშოდ ქცეული ძირძველი ქართული კუთხე უპატრონო ეკლესიას დაემსგავსა.

თვითმპყრობელობისა და კომუნისტური რეჟიმის დროს თურქული ენა იქცა ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად თურქეთიდან ჩამოსახლებული სომხებისა და მესხეთის მკვიდრ ქართულ მოსახლეობის შორის. თურქული ენის გავრცელებას უწყობდა ხელს აგრეთვე ისიც, რომ ჯავახეთში ცხოვრობდნენ თურქულენოვანი თურქმენული ტომი თარაქამა (ყარაფაფახ) და ქურთები. რუსები და ქრისტიანი ქართველები მუსულმან თანამოქმედებს „თათრებს“ ეძახდნენ საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, რაც გულისხმობდა მათ მაჰმადიანობას და არა ეროვნულ კუთვნილებას.

1916 წელს მეფის რუსეთის ოფიციალური სტატისტიკით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში საერთო მოსახლეობის (173 ათასი ადამიანის) დიდ უმრავლესობას ქრისტიანი და მაჰმადიანი (სუნიტი) ქართველები შეადგენდნენ (88 ათასს), რომელთაგან 59 მუსლიმი იყო. აღწერით დაფიქსირდა მხოლოდ 1000 „თურქი“, მაგრამ 1926 წლის საბჭოთა მონაცემების თანახმად, რეგიონში „აღმოჩნდა“ 36 ათასი თურქი, ე.ი. 10 წლის მანძილზე აქ თურქების რიცხვი 36-ჯერ გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხეში რაიმე მნიშვნელოვანი მიგრაციულ პრო-

ცხეებს ადგილი არ ჰქონია. 1936 წლის აღწერამ კი ახალციხის რაიონში მოულოდნელად „გამოავლინა“ 28.428 „აზერბაიჯანელი“, ხოლო ქართველების რიცხვი - მხოლოდ 5.836. აღნიშნული უცარი დემოგრაფიული ცვლილება იყო შედეგი ბოლშევიკური რეჟიმის პოლიტიკური მანიპულაციებისა, რომელმაც ადმინისტრაციული ძალდატანების გზით, თვითნებურად შეუცვალა ეროვნება ქართველებს, შექმნა პირობები მესხეთის ისტორიის გაყალბებისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1944 წლიდან შუა აზიაში სპეცჩასახლების ადგილებში კომენდატურებმა მესხთა უმრავლესობა „თურქებად“ ჩაწერეს იმ საბაბით, რომ საქართველოდან ისინი ბერიას მიერ ხელმოწერილი საბუთის შესაბამისად, როგორც „თურქები“ გაასახლეს, ხოლო „აზერბაიჯანელები“ სამცხე-ჯავახეთში, მათი განმარტებით - არ ცხოვრობდნენ.

მას შემდეგ, რაც საკომენდანტო რეჟიმი გაუქმდა და მესხებს მიეცათ ნება მიეღოთ საბჭოთა პასპორტები კომენდატურების მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, მათ დოკუმენტებში ჩაუწერეს ეროვნება „აზერბაიჯანელი“ იმიტომ, რომ სსრკ-ში თურმე თურქები არ ცხოვრობენ.

იმავედროულად უნდა აღინიშნოს, უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული ქართული ცნობიერებისა და ორიენტაციის მქონე მესხთა ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერება.

მიუხედავად არადამიანური სიძნელეებისა, მიწის ყივილმა და ქართულმა გენეტიკურმა მუხტმა თავისი დადიბითი შედეგი მაინც გამოიღო და დღეს, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების შედეგად დიდი ყურადღებით ეკიდება მოვლენებს კავკასიასა და საქართველოში, ვითარება სასიკეთოდ იცვლება.

აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება ერთ სამწუხარო გარემოებაზე. მე შევეხები ინტელიგენციის ერთი

ნაწილის დესტრუქციული პოზიციას, რომელიც გამოიკვეთა საქართველოში.

დღეს ანტიმესხური აეიოტაჟის მედროშედ გვევლინება საქართველოს პარლამენტის წევრი გ. შარაძე. ჩემი აზრით, ბატონი გ. შარაძე და მისი მომხრენი, რომლებიც „თურქი-მესხების“ კარტს ათამაშებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, არსებითად არაფრით არ განსხვავდებიან „ვათანის“ პანთურქისტ მოთავეებისაგან. უფრო მეტიც - ისინი აძლიერებენ საქართველოს მტრების - რუსეთის იმპერიული ძალებისა და სპეცსამსახურების დამქაშების (სარვაროვების, მამოევეების, პეპინოვების) პოზიციებს. მათი საქმიანობა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

ჩვენ მივმართავთ სრულიად საქართველოს, ქართველ ერს, რათა ჩვენი ხმა, როგორც წინა წლებში, არ დარჩეს ხმად მღალადებლისა უდაბნოს შინა:სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა ქართველები ვართ და აქ რელიგია არაფერ შუაშია, ხოლო სამარცხვინო ეთნონიმი „თურქი-მესხი“, „მესხეთელი თურქი“ ან „ახალციხელი თურქი“ უაზრობაა. ისინი, ვინც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ აღვივებენ ამ აბსურდს, ჩვენი ქვეყნის მტრების საქმეს აკეთებენ, ხელოვნურად უქმნიან პრობლემებს სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე მდგომ საქართველოს.

მინდა ჩემი წერილი დავამთავრო სიტყვებით: როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!

*იასონ ვარსკენელიძე
1998 წლის მაისი
გაზეთი „ახალი თაობა“*



სამუშაო მაგიდასთან. 1999 წელი, ვლადი.
За работой. 1999 год, Глдани.



ნასაკირალელ მესხებთან, 1992 წელი.
У Насакиралских месхов, 1992 год.

ГОНИМЫЕ СУДЬБОЙ

*Только Бог один заступник
всем отвергнутым тобой!*

Шота Руставели

Ясину Варскнелидзе было 14 лет, когда у него отняли Родину. А гораздо раньше у него и его народа отняли национальную принадлежность и родной язык. Такова судьба месхов, которые стали жертвой многовековых политических игр.

Что касается самого Ясина, то он сохранил в себе очень много традиционно-грузинского благодаря общению со своими сверстниками-христианами. Когда этот седой человек вспоминал свои детские игры в поле с деревенскими ребятами, его глаза лукаво поблескивали. До конца жизни дружил он со своими сверстниками-односельчанами, с увлечением рассказывал о родном селе – Тоба. В свои 70 лет он прекрасно помнил каждый уголок и окрестности родного села: названия и количество церквей, родников, мельниц, фамилии крестьян.

Мы познакомились с ним в 1991 году, когда в Тбилиси было создано общество депортированных месхов "Хсна". Он был членом совета этого общества и одним из активных лидеров движения за возвращение к грузинским корням. Когда правительство Грузии выделило депортированным месхам помещение для временного жилья и он получил возможность иметь там свой угол, Ясин большую часть времени стал проводить в Тбилиси, в Грузии, хотя после ферганского погрома его семья жила в Азербайджане, в г. Казахе. В последнее время он уже не мог жить вне Грузии, привез в Тбилиси жену, и друзья с удовольствием заходили к ним на огонек – знали, что там их встретят радужные хозяева.

Ясин был влюблен в Грузию, радовался, как ребенок, что благодаря внешности его никто не отличал от грузина. От природы живой и коммуникабельный, он спешил узнать как можно больше людей, общался, рассказывал, как мечтал вернуться на Родину, говорил о причинах своей тяги к Грузии. Он активно участвовал в разных встречах, его интервью и статьи публиковались в газетах. Он радовался, когда незнакомые люди узнавали его по фотографии в газете, заговаривали с

ним на улице. Словом, в Тбилиси он стал своим человеком.

Но, кроме Тбилиси и больше, чем Тбилиси, объектом его любви был его родной Ахалцихе, где жили его друзья из села Тоба. Сам он с гордостью называл себя "тобэли каци". И при каждой встрече напоминал нам о своей просьбе, звучащей как завещание: "Хватит с меня и того, что родители мои похоронены на чужбине. Меня похороните в моей родной деревне – или в Ахалцихе." Увы, к нашему большому стыду, мы не смогли исполнить его последнюю просьбу.

По внешности и характеру Ясин очень походил на кахетинского князя – любил застолье, был красноречивым и артистичным собеседником. Эмоционально реагируя на хорошие и плохие вести, он все принимал близко к сердцу, что и стало, в конце концов, причиной его смерти.

За день до кончины мы застали его с газетой в руках. Бледный и расстроенный, он приходил в себя после очередной публикации-пасквиля депутата Г. Шарадзе о "турках-месхетинцах". В несвойственном ему молчании что-то предвещало беду. Я попыталась его успокоить, утешить, говорила, что в Грузии вовсе не все так настроены и что никто уже не слушает Шарадзе. Мне показалось, что он мне поверил. Он молча ушел.

На другое утро нам сообщили о его внезапной кончине. С болью в сердце друзья и близкие оплакали эту потерю. Угасла еще одна жизнь с несбывшейся надеждой на возвращение на Родину. Еще одна месхетинская могила появилась на чужбине – его похоронили в Казахе.

Ясин Варскнелидзе был образованным человеком. Много читал, особенно по истории Месхетии, сам публиковался в грузинской прессе.

Ниже публикуется два автобиографических записей Ясина Варскнелидзе, которые передала нам из своего архива Клара Бараташвили – председатель Союза Потомков Латифшаха Бараташвили "Patria".

Кроме этого, мы предлагаем вашему вниманию его статью "Мы - месхи и потому - грузины!". Мы думаем, эта статья лучше всего выражает душевный настрой и взгляды автора. Поэтому мы и решили предложить ее читателю.

Александра Тевзадзе

САМОЕ ГЛАВНОЕ – Я НА РОДИНЕ...

